




ავტორები: დავით კუშელავა, იაროსლავა ბაბიჩი

მშპ-ის ზრდის პროგნოზს თუ დავეყრდნობით, **2023 წელი** შეიძლება უფრო ნელი ტემპით დაიწყოს, რადგან სურსათისა და ენერჯის ფასებით გამოწვეული ინფლაცია კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ეკონომიკისთვის

გრაფიკი 1 - საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა 2022 წლის მეოთხე და 2023 წლის პირველი კვარტლების მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდის პროგნოზი განაახლა. ქვემოთ მოცემულია ამ თვის განახლებების ძირითადი მიგნებები.

ძირითადი მიგნებები:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) 2022 წლის პირველი სამი კვარტლის მშპ-ის რეალური ზრდის წინასწარი შეფასება გამოაქვეყნა: **1-ელი კვარტლის ზრდის მაჩვენებელი 15%-ია**, ხოლო მე-2 და მე-3 კვარტლების წლიური ზრდის მაჩვენებლები მცირედით გაიზარდა და, შესაბამისად, **7.2% და 9.8% შეადგინა**. შესაბამისად, 2022 წლის პირველი თერთმეტი თვის განმავლობაში მშპ-ის რეალური ზრდის წლიური მაჩვენებელი 10% იყო.
- ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა 2022 წლის მეოთხე კვარტლის მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი განაახლა, რომელიც ამ ეტაპზე **12%-ს შეადგენს** (აღნიშნული მაჩვენებელი 0.1



პროცენტული პუნქტით აღემატება წინა მიმოხილვის მაჩვენებელს). 2023 წლის პირველი კვარტლის მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი კი უცვლელია და 3.9%-ს შეადგენს.

- **ოქტომბრის მონაცემებზე დაყრდნობით, 2022 წელს წლიური ზრდის პროგნოზი 11%-ს შეადგენს.** აღნიშნული მაჩვენებელი, დიდი ალბათობით, გადაჭარბებულადაა შეფასებული. ეს იმ ფაქტით არის განპირობებული, რომ აქამდე საქართველოში ასეთი ფართომასშტაბიანი ომის, სანქციებისა და მიგრაციის შემთხვევები არ ყოფილა.

მშპ-ის ზრდის პროგნოზის განმაპირობებელი ცვლადები:

საქონლით ვაჭრობა. ოქტომბერში საქართველოს ექსპორტი წლიურად 9.2%-ით გაიზარდა. ეს, ძირითადად, ავტომობილების (101.8%-ით ზრდა, რაც 8.7 პროცენტულ პუნქტს უტოლდება), დაფასოებული მედიკამენტების (108.5%-ით ზრდა, რაც 1.8 პროცენტულ პუნქტს უტოლდება), ნავთობპროდუქტების (575.8%-ით ზრდა, რაც 1.4 პროცენტულ პუნქტს უტოლდება), ნატურალური ყურძნის ღვინოების (23%-ით ზრდა, რაც 1.3 პროცენტულ პუნქტს უტოლდება) და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (5.9%-ით ზრდა, რაც 1.2 პროცენტულ პუნქტს უტოლდება) გაზრდილი ექსპორტით/რეექსპორტით იყო განპირობებული. ამის საპირისპიროდ, წლიური ვარდნა განიცადა ფეროშენადნობების (73.8%-ით კლება, -11 პროცენტული პუნქტით), ტყის თხილისა და სხვა სახის თხილის (23%-ით კლება, -1.1% პროცენტული პუნქტით) ექსპორტმა. აღსანიშნავია, რომ საქონლის ექსპორტის ზრდა, უმეტესწილად, უფრო მაღალი ფასების ანარეკლია, ვინაიდან ექსპორტის რეალური მოცულობა გაცილებით მცირედით, წლიური 5.1%-ით გაიზარდა.

აღნიშნულ პერიოდში საქონლის იმპორტი 28.5%-ით გაიზარდა, რაც უმეტესად ავტომობილების (134.8%-ით ზრდა, რაც 10.8 პროცენტულ პუნქტს უტოლდება), ნავთობპროდუქტების (50.2%-ით ზრდა, რაც 4.1 პროცენტულ პუნქტს უტოლდება), სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (58.5 %-ით ზრდა, რაც 2.2 პროცენტულ პუნქტს უტოლდება), სხვა თვითმფრინავების, კოსმოსური ხომალდების და კოსმოსური ხომალდის გამშვები მანქანების (502-ჯერ ზრდა, რაც 1.4 პროცენტულ პუნქტს უტოლდება) და სატელეფონო აპარატების, მათ შორის ფიჭური ან სხვა უკაბელო ტელეფონების (78.6 %-ით ზრდა, რაც 1.3 პროცენტულ პუნქტს უტოლდება) იმპორტის/რეიმიპორტის ზრდამ განაპირობა. ამის საპირისპიროდ, შემცირდა სხვა პროდუქტების იმპორტის წლიური მაჩვენებელი. მათ შორის ვაქცინების, ჰემოგლობინის და იმუნიტეტის გამამდიერებელი პროდუქტების (81.6%-ით შემცირდა, რაც -1.4 პროცენტულ პუნქტს უტოლდება) და კოქსის და ქვანახშირის ნახევარკოქსის, ლიგნიტის ან ტორფის, რეტორტის ნახშირის (80.1%-ით შემცირდა, რაც -1.42 პროცენტულ პუნქტს უტოლდება) იმპორტი. ამავდროულად, იმპორტის წლიური მაჩვენებელი 2.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (იმპორტის ამგვარი ზრდა ძირითადად გაზრდილი ფასებით იყო განპირობებული). **შესაბამისად, სავაჭრო დეფიციტი წლიური 28.6%-ით გაიზარდა და 675,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.** *საერთო ჯამში, ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა უარყოფითი გავლენა იქონია მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

ფულადი გზავნილები. ოქტომბერში, **ფულადი გზავნილები წლიური 142.9%-ით გაიზარდა და 502 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.** აღნიშნული ზრდის მთავარი ხელშემწყობნი იყვნენ: *რუსეთის ფედერაცია* (725%-იანი ზრდა, 127.3 პროცენტული პუნქტი), *ყირგიზეთი* (163.7%-იანი ზრდა, 4.9 პროცენტული



პუნქტი), აშშ (26.5%-იანი ზრდა, 3.0 პროცენტული პუნქტი), გერმანია (42.1%-იანი ზრდა, 2.2 პროცენტული პუნქტი), ბელარუსი (1162.9%-იანი ზრდა, 2.0 პროცენტული პუნქტი), სომხეთი (345.8%-იანი ზრდა, 1.9 პროცენტული პუნქტი), იტალია (8.1%-იანი ზრდა, 1.3 პროცენტული პუნქტი), ტაჯიკეთი (269.6%-იანი ზრდა, 1.3 პროცენტული პუნქტი) და გაერთიანებული სამეფო და ჩრდილოეთ ირლანდია (134.9%-იანი ზრდა, 1.2 პროცენტული პუნქტი). ფულადი გზავნილები შემცირდა უკრაინიდან (99.1%-ით შემცირდა, რაც - 3.5 პროცენტულ პუნქტს უტოლდება) და აზერბაიჯანიდან (40,5%-ით შემცირდა, რაც - 1,4 პროცენტულ პუნქტს უტოლდება). *საერთო ჯამში, ფულადი გზავნილების ნაკადის აღდგენამ მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის პროგნოზებში.*

ტურიზმი. ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობა და მათგან მიღებული შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა 2022 წლის ოქტომბერში, 2020 წლის მკვეთრად დაცემისა და 2021 წელს ნაწილობრივ აღდგენის შემდეგ. **ოქტომბერში, საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი წლიური გამოთვლებით 115.2%-ით გაიზარდა. ხოლო ტურისტების რაოდენობის (კერძოდ, იმ ვიზიტორებისა, რომლებმაც 24 საათი ან მეტი გაატარეს საქართველოში) ზრდამ 82.6%-ს მიაღწია.** *საერთო ჯამში, ვიზიტორებისა და ტურისტების მზარდმა რაოდენობამ, ტურისტული შემოსავლების ზომიერი ზრდის პარალელურად, პოზიტიური წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის პროგნოზებში.*

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER). ოქტომბერში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) თვიური მაჩვენებლით 2.6%-ით, წლიური გამოთვლებით კი 20.9%-ით გაიზარდა. თვიურ ჭრილში ლარის რეალური გაცვლითი კურსი (RER) გამყარდა სხვა დიდი პარტნიორი სახელმწიფოების ვალუტასთან მიმართებით: ევროსთან მიმართებით – 2.6%-ით, რუსულ რუბლთან – 5.2%-ით, თურქულ ლირასთან – 0.9%-ით და აშშ დოლართან 2.4%-ით. მეტიც, წინა წლის იმავე თვის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა ლარი/ევროს (33.3%), ლარი/აშშ დოლარის (15.7%) და ლარი/თურქული ლირის (35.9%) რეალური გაცვლითი კურსი (გამონაკლისია ლარი/რუბლი, რომელიც 4.7%-ით შემცირდა). **REER-ის ზრდა დაკავშირებულია რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლასთან.** *საერთო ჯამში, REER-თან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი უარყოფითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზებში.*

მსოფლიო ფასები. მშპ-ის ზრდის პროგნოზირებისას ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა ცვლადების შემდეგი კატეგორიებიც: მეტალის ფასების ინდექსი (PMETA) და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასების ინდექსი (PRAWM). მეტალებს საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს, მაშინ როცა საკვები და საწვავი მთავარ იმპორტულ პროდუქტებს წარმოადგენენ. ამგვარად, მეტალის ფასების გლობალური ზრდა სავარაუდოდ დადებით შედეგს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების ზრდა, მეორე მხრივ, დამაზიანებელი იქნება ეკონომიკისთვის. **წლიური გამოთვლებით, მეტალის ფასებმა ოქტომბერში 20.8%-ით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასებმა 15.9%-ით დაიკლო.** *ამგვარად, მოდელისთვის PMETA და PRAWM ინდიკატორების დამატება ამცირებს მშპ-ის ზრდის პროგნოზს ორივე კვარტლისთვის.*

ინფლაცია. ოქტომბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 10.6%-ს გაუტოლდა, რაც მიზნობრივ 3%-ს მნიშვნელოვნად აღემატება. სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) ინფლაციის



დაახლოებით 4.6 პროცენტული პუნქტი საკვების უფრო მაღალმა ფასებმა განაპირობა (რაც მსოფლიოს მასშტაბით საკვების ფასების ზრდით იყო გამოწვეული – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი წლიურად 1.6%-ით გაიზარდა¹). გარდა ამისა, გაზრდილმა საწვავის ფასმაც დადებითი წვლილი შეიტანა (0.8 პროცენტული პუნქტი) წლიური ინფლაციის მაჩვენებელში. **აღნიშნული ტენდენცია, უმეტესწილად, მსოფლიო ბაზარზე გაზრდილი საწვავის ფასების შედეგია (ევრო ბრენტის ფასი (COP) წლიური 11.7%-ით გაიზარდა).**

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიმდინარე ინფლაცია ნაწილობრივ გამოწვეულია რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეების გადაადგილებასთან დაკავშირებული მოთხოვნის ზრდით. ამასთანავე, შემდეგი ორი ფაქტორი გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს ინფლაციასთან დაკავშირებით: 1) საწვავის ფასებმა კლება დაიწყო მას შემდეგ, რაც წლის დასაწყისში პიკს მიაღწია და 2) ლარის გაცვლითი კურსი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების ვალუტებთან მიმართებით გამყარდა. ამავდროულად, საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 7.3%-ს გაუტოლდა. *საერთო ჯამში, CPI-სთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი უარყოფითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის პროგნოზში.*

სამომხმარებლო სესხები. ცვლადების კიდევ ერთი ჯგუფი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროგნოზებზე, სამომხმარებლო სესხებს უკავშირდება. **2022 წლის ოქტომბერში კომერციული ბანკების სამომხმარებლო სესხების მთლიანი მოცულობა წლიური 28.4% და თვიური 1.3%-ით გაიზარდა** (მაღალი ინფლაციის გამო გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის მიუხედავად). გაიზარდა კომერციული ბანკების მოკლევადიანი (8.6%) და გრძელვადიანი (29.0%) სამომხმარებლო სესხების მოცულობა. თუმცა საგრძნობლად შემცირდა უცხოურ ვალუტაში გაცემული მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხები (23,7%-ით). **გარდა ამისა, მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხები 1.0%-ით შემცირდა თვის ჭრილში, გრძელვადიანი სამომხმარებლო სესხები კი 1.3%-ით გაიზარდა წინა თვესთან შედარებით.** *საერთო ჯამში პროგნოზიდან შეგვიძლია დავინახოთ, რომ დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს მცირედი ნეგატიური გავლენა ჰქონდა მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზებში.*

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage') აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.

¹ თუმცა საკვების ფასების წლიურ ზრდას აქვს დადებითი ტრენდი. 2022 წლის ნოემბრიდან სურსათის ფასების ინდექსმა (FAO) წლიურ ჭრილშიც კლება დაიწყო.